



28 სექტემბერი, 2010 წ.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება“ 15 წლისაა!

2010 წლის სექტემბერში, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“ 15 წელი შეუსრულდა.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) მიუკერძოებელი, არასამთავრობო, არამომგებიანი ორგანიზაციაა, რომელიც დაარსდა 1995 წელს. ორგანიზაციის მუშაობის ძირითადი მიმართულებებია:

- საარჩევნო პროცესების დემოკრატიულ სტანდარტებთან დაახლოების ხელშეწყობა;
- სახელმწიფო და სამოქალაქო ინსტიტუტების გამჭვირვალობისა და მათ მიმართ ნდობის გაზრდის ხელშეწყობა;
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა;
- კანონმდებლობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და კანონის უზენაესობის დაცვა.

ორგანიზაციის სტრატეგიული მიმართულებებიდან გამომდინარე, „სამართლიანი არჩევნებს“ განხორციელებული აქვს არაერთი პროექტი, საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული პროექტები, ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგის გზით, ხელს უწყობს ხელისუფლების ანგარიშვალდებულების ამაღლებასა და მოქალაქეთა უფლებების დაცვას.

ამ მნიშვნელოვანი დღის აღსანიშნავად, „სამართლიანი არჩევნები“ ულოცავს ორგანიზაციის ყველა წევრს, დამკვირვებელს, აქტივისტს, ყოფილ თუ ამჟამინდელ თანამშრომელს ორგანიზაციის 15 წლის იუბილეს. ამასთან, დიდ მადლობას უხდის თითოეულ მათგანს ორგანიზაციის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

ორგანიზაცია კვლავაც ერთგული რჩება და ემსახურება იმ ღირებულებებს, რასაც დემოკრატიის განვითარება, ანგარიშვალდებულები და გამჭვირვალე ხელისუფლება, და სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები წარმოადგენს.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge